პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 28 ნოემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

271 (969)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## პირველ ყოვლისა სამხედრო საქმე!

ყოველ დღე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თავსდება მრავალი ცნობები ნაწილებიდან, რომლებიც გვეუბნებიან იმ აღფრთოვანებაზე და ხალისზე, რომლითაც შეუდგა წითელი ყაზარმის ახალი ძალა სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებას.

ეს დიდი სასიხარულო მოვლენაა. ის კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ წითელი არმიის რიგებს შეემატა ღირსეული და მეტად საიმედო ძალა.

მთავარი რაც უნდა ახსოვდეს ჩვენს ახალგაზრდა მეომრებს—ეს ის, რომ ისინი პირველ ყოვლისა უნდა გახდენ კარგი მეომრები. მართალია წითელი ყაზარმა განათლების და კულტურის სკოლაა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ის შეიარაღებული ძალაა, რომელიც მოწოდებულია იარაღით ხელში დაიცვას საბჭოთა კავშირი კაპიტალისტებისა და მემამულეების შემოტევისაგან.

მაშასადამე, წითელი არმიის ყოველივე ჯარისკაცი უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, გაწვრთნილ-დისციპლინიანი, შეუდრეკელი მეომარი.

აქედან მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მთავარი და ძირითადი ამოცანა წითელ არმიაში არის სამხედრო საქმის საფუძვლიანად შესწავლა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელნი მშვიდობიან აღმშენებლობით მუშაობას ეწევიან, ეს იმიტომ, რომ მათ მედგრად სდარაჯობს ძლევამოსილი წითელი არმია.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს საბჭოთა ქვეყანას ბევრი მტერი ყავს. ისინი კიდევ ბევრჯერ შეეცდებიან ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასამარებას.

ამიტომაც წითელი არმია ყოველგვარ საფრთხისათვის მზად უნდა იყოს. თუ მტერი ანვითარებს თავის სამხედრო ტეხნიკას, საომარ ტაქტიკას, წითელ არმიამაც უნდა განავითაროს თავისი სამხედრო ტეხნიკა, საბრძოლო ტაქტიკა, უმაღლეს საფეხურზე უნდა დააყენოს სამხედრო საქმე თავის რიგებში.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მტერს ვერ დავამარცხებთ, მუშების და გლეხების თავისუფლებას ვერ დავიცავთ.

მაშასადამე, წითელი არმიის თითეული მებრძოლის მთავარ ვალდებულებას შეადგენს ყოველ მხრივ განავითაროს თავისი სამხედრო ცოდნა, თვალყური ადევნოს სამხედრო საქმის და ტეხნიკის განვითარებას.

რასაკვირველია სამხედრო საქმესთან ერთად წითელი მებრძოლი მოვალეა დაეწაფოს პოლიტიკურ სწავლასაც.

წითელი არმიელი უნდა იყოს არა მარტო სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, არამედ პოლიტიკურადაც საკმაოდ მომზადებული.

სამხედრო მომზადება და ღრმა პოლიტიკური შეგნება—აი პროლეტარული რევოლიუციის ჯარისკაცის დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც დაუძლეველს ხდიან მას.

ახალწვეულებო! მტკიცედ მოკიდეთ ხელი სამხედრო საქმის შესწავლას.

საფუძვლიანად შეისწავლეთ ის.

# ახალი რადიო-ამბები

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### მოხდა აჯანყება ჩჟან-ძო-ლინის წინააღმდეგ.

### გადადგა და გაიქცა მუკდენის ჯარების შტაბის უფროსი.

### ჩახარას ოლქსა და კალგანში სამხედრო წესებია.

### მოხდა შეთანხმება მუკდენის გავლენის წინააღმდეგ.

### შანხაის სავაჭრო პალატა მოითხოვს ჩინეთის საბაჟო დამოუკიდებლობას.

— ჩჟან-ძო-ლინის წინააღმდეგ მოხდა აჯანყება. აჯანყება დაიწყო მანჯურიის რკინის გზის ხაზზე. მუკდენსა და პეკინს შორის რკინის გზა არ მუშაობს.

— აჯანყდა მუკდენის სამი ბრიგადა. შანხაიგუანაში მოხდა აჯანყება, რომელსაც, მეთაურობს გენერალი გო-სუნლინი.

— გადადგა მუკდენის ჯარების შტაბის უფროსი გენერალი იან-გუ-ტინი და გაიქცა დაირანში. იან-გუ-ტინი დიდი გავლენით სარგებლობდა მუკდენის ჯარებს შორის.

— ჩახარის ოლქსა და ქ. კალგანში, რომელიც იმყოფება ფინ-იუი-სიანის უფლებაში, გამოცხადებულია სამხედრო წესები.

— გომინდანის პარტიის მემარცხენე ფრთა, სახალხო არმიები და ჩილის (უ-პეი-ფუს) პარტია მეთანხმდენ შემდეგში: უნდა აღმოფხვრან საბოლოოდ მუკდენის გავლენა; ჩინეთის მთავრობა შედგენილ უნდა იქნას კომიტეტების საფუძველზე.

— შანხაის სავაჭრო პალატა დაჟინებით მოითხოვს საბაჟო დამოუკიდებლობას.

## ჩჟან-ძო-ლინი და კარახანი.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჩინეთში კარახანმა მიიღო საელჩოში ჩჟან ძო-ლინი. საღამოს, 26 ნოემბერს, ჩჟან-ძო-ლინმა გამართა კარახანის საპატივცემოდ ბანკეტი.

ორშაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია **ტფილისის საბჭოს სექციების მორიგი სხდომა:**

1. **კომუნალური** . . . . . (წითელი თეატრი).

**დღის წესრიგი.**

ა) ტფილისის აღმასკომის 1925/26 წლის ბიუჯეტის განხილვა.
ბ) მოხსენება საბინაო საკითხის შესახებ.
გ) მიმდინარე საკითხები.

2. **საფინანსო** . . . . . (აღმასკ. შენ. ოთ. № 17.)

**დღის წესრიგი.**

ა) ტფილისის აღმასკომის 1925/26 წლის ბიუჯეტის განხილვა.
ბ) მიმდინარე საკითხები.

3. **სახალხო განათლების** . . . (აღმ. შენ. ოთ № 32).

**დღის წესრიგი.**

ა) ტფილისის აღმასკომის 1925/26 წლის ბიუჯეტის განხილვა.
ბ) პოლიორგანის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ.
გ) დამხმარე საბჭოების დებულების განხილვა.
დ) სკოლებზე მიმაგრებულ სექციის წევრთა მოხსენებები.
ე) მიმდინარე საკითხები. (ინფორმაცია სკოლების შენობის შეკეთების შესახებ და სხვა.

4. **ჯანმრთელობის** . . . (აღმ. შენ. ოთ. № 57).

**დღის წესრიგი.**

ა) ტფილისის აღმასკომის 1925/26 წლის ბიუჯეტის განხილვა.
ბ) მოხსენება ქალაქის და დამზღვევ სალაროს ამბულატორიათა გამოკვლევის შესახებ.
გ) მოხსენება დედათა და ბავშვთა დაცვის საქმის გამოკვლევის შესახებ.
დ) მიმდინარე საკითხები.

5. **სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის** . . . . . . . (აღმ. შენ. ოთ. № 28)

**დღის წესრიგი.**

ა) ტფილისის აღმასკომის 1925/26 წლის ბიუჯეტის განხილვა.
ბ) მოხსენება ტრაქტორებით მუშაობის შესახებ.
გ) სავეტერინარო დახმარება და ჭირთან ბრძოლა მაზრაში.
დ) მიმდინარე საკითხები.

6. **სამხედრო** . . . . . (აღმასკომის დარბაზი).

**დღის წესრიგი.**

ა) ტფილისის აღმასკომის 1925/26 წლის ბიუჯეტის განხილვა.
ბ) ქალაქის კომენდანტის მოხსენება სამხედრო მუშაკთათვის ბინების საკითხის შესახებ.
გ) მოხსენება ყაზარმების შესაკეთებლად გადებული თანხების რაოდენობის და მისი გაცემის წესის შესახებ.
გ) მოხსენება ჩოთქის სახელოსნოს გამოკვლევის შედეგების შესახებ.
დ) მოხსენება ძველი შემადგენლობის ბიუროსაგან თანხების მიღების შესახებ.
ე) მიმდინარე საკითხები.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზ. დუმი.

## „რემედასი"-ს მომავალი კონფერენციები.

ამ დღეებში ჩვენი დივიზიის ნაწილებში მოწვეულ იქნება „რემედას"-ის წევრთა კონფერენციები, რომლის დღის წესრიგში დასმულია „ადგილობრივ ბიუროების ანგარიშები". ეს კონფერენციები გამოარკვევენ რამდენათ ნაყოფიერად მიმდინარეობდა „რემედას"-ის მუშაობა ამა თუ იმ ნაწილში და რა შედეგები მოიტანა ამ მუშაობამ.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომელსაც უნდა მიაქციონ ყურადღება მომავალმა კონფერენციებმა.

„რემედას"-ის მუშაობაში ნაწილებში არ არიან მთლიანად ჩაბმულნი ყველა წითელ არმიელები. წითელ არმიელთა ფართო მასა დარჩენილია მის მუშაობის გარეშე და იხდის მხოლოდ საწევრო გადასახადს. ეს უარყოფითი მოვლენაა და რაც ჩქარა იქნება იგი აღმოფხვრილი მით უკეთესია. ნაწილის ბიუროს მთელი მეცადინეობა მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ საწევრო გადასახადის აკრეფისაკენ და მუშაობის იდეური მხარე კი მივიწყებულია.

ნაწილებში არსებულ „რემედას"-ის კუთხეებში დაგროვილია პლაკატები, ჟურნალები, რამოდენიმე სურათი, მუშაობა კი [illegible] არ სწარმოებს.

მომავალმა კონფერენციებმა უნდა მიაქციონ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება და გამოიტანონ შესაფერი დადგენილებები მუშაობის გამოსაცოცხლებლად. „რემედას"-ის მუშაობაში უნდა იქნეს ჩაბმული მთელი წითელ არმიელთა მასა. ყოველ წითელ არმიელს უნდა ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა „რემედას"-ის ამოცანებზე და უნდა იცოდეს, სად მიდის ის ფული, რომელსაც იხდის საწევრო გადასახადის სახით.

ამის მიღწევა შეიძლება სისტემატიური მუშაობის წარმოების გზით „რემედას"-ის კუთხეში და კლუბში.

კუთხეში უნდა იმართებოდეს ბაასი „რემედას"-ის მიზნების ირგვლივ და იმ დახმარებაზე, რომელსაც უწევს „რემედას"-ი ბურჟუაზიის ციხეებში გამომწყვდეულ პოლიტიკურ ტუსაღებს.

შემოღებულ უნდა იქნეს დაფა, სადაც გამოიკვრება ახალი ცნობები „რემედას"-ის მოღვაწეობიდან.

კლუბის მასიურ მუშაობაში უნდა დაეთმოს „რემედას"-ს საპატიო ადგილი. დრო გამოშვებით უნდა იდგმებოდეს პიესები, ინსცენიროვკები „რემედას"-ის ირგვლივ.

ამ გზით ჩვენ გავაცნობთ და შევასწავლით წითელ-არმიელებს იმ დიდ მიზნებს, რომელსაც ისახავს „რემედას"-ი და შემდეგ, როდესაც წითელი არმიელი დაუბრუნდება სოფელს, ის იქნება საუკეთესო აგიტატორი „რემედას"-ის იდეებისა სოფლად.

მომავალმა კონფერენციებმა უნდა გაუწიონ ამას ანგარიში და გამოიტანონ შესაფერისი დადგენილებები.

ე. ხუციშვილი.

# საფრანგეთი მთავრობის მოლოდინში.

## ერიომ უარი განაცხადა მთავრობის შედგენაზე.

## სოციალისტებს არ სურთ მონაწილეობა სხვა პარტიის მიერ შედგენილ მთავრობაში.

ერიომ უარი განაცხადა საფრანგეთის ახალი მთავრობის შედგენაზე.

სოციალისტურმა პარტიამ უარი განაცხადა სხვა პარტიის მიერ შედგენილ მთავრობაში მონაწილეობაზე.

სოციალისტები თანახმა არიან შეადგინონ ახალი კაბინეტი და ითანამშრომლონ სხვა დემოკრატიულ პარტიებთან იმ პირობით, თუ რომ უკანასკნელნი მხარს დაუჭერენ ქვეყნის სახსნელად მიღებულ ღონისძიებებს.



ე რ ი ო.

## დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირთან დაახლოებით.

უკანასკნელ დროს საფრანგეთი დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან დაახლოების საკითხით.

თვით მემარჯვენეებიც კი ამის მომხრე არიან მხოლოდ შეაქვთ შესწორება, სახელდობრ: „საფრანგეთის კოლონიების დაცვა კომუნისტურ პროპაგანდისაგან“.

## შეიარაღების გაძლიერება „მშვიდობიანობისათვის“.

ინგლისის ზღვათა მინისტრმა ბრიჯმენმა განაცხადა, რომ ლოკარნოს შეთანხმებასთან დაკავშირებით, მთავრობა არ შესწყვეტს ახალ კრეისერების აგებას.

## ინგლისის მუშათა პარტიის ბელადების რეზოლიუცია.

## „ინგლისის ტრადიციულ უფლებების დარღვევა“

მაკდონალდმა, ტომასმა, სნოუდენმა და ინგლისის მუშათა პარტიის სხვა ლიდერებმა შეიტანეს თემთა პალატაში შემდეგი რეზოლიუცია:

„მთავრობის მიერ კომუნისტური პარტიის ზოგიერთ წევრის გასამართლება ეს არის ინგლისის ტრადიციულ უფლებების—სიტყვის, ბეჭვდისა და რწმენის თავისუფლების დარღვევა“.

## თეთრგვარდიელების მიერ კარახანის მოკვლის განზრახვა.

ხარბინში დააპატიმრეს რამოდენიმე თეთრგვარდიელი და მათ შორის გენერალ ზაგოსკინი. მათ ბრალდებათ ჩინეთში მყოფ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის კარახანის მოკვლის განზრახვა.

## ჩიჩერინი პარიზში.

26 ნოემბერს პარიზში ჩავიდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარი ამხ. ჩიჩერინი.

# საბჭოთა კავშირში.

## რიკოვი საპატიო ყაზახია.

საფრანგეთის კომპარტიის სახელობის ზაპოროჟიეს ცხენოსანი დივიზიის ყაზახთა მეოთხე გაფართოებულმა კონფერენციამ აირჩია ამხ. რიკოვი საპატიო ყაზახად.

## ჩერვონეცის იუბილე.

26 ნოემბერს შესრულდა სამი წლის თავი, რაც გამოშვებულ იქნა ჩერვონეცი.

# უცხო სიტყვების ახსნა.

**კოლონია**—ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მიერ დამორჩილებული ქვეყანა.

**გომინდანი**—ეროვნულ-რევოლიუციონური პარტია ჩინეთში.

**იუბილე**—დღესასწაული, ანუ წლის თავი დაწესებულების ან სხვა რაიმეს დაარსებიდან; ვისიმე საზოგადოებრივ მოღვაწეობის წლის თავი.

**ბანკეტი**—საზეიმო საუზმე, სადილი ან ვახშამი, გამართული ვისიმე საპატივცემოდ.

# განათლების ფრონტზე.

განათლების კომისარიატმა დაუგზავნა ცირკულიარი ყველა საფეხურის სკოლებს აცნობონ კომისარიატს თუ რა და რა სახის ცვლილებებია საჭირო, რომ ყოველ ცალკე სასწავლებელში სწავლა სათანადო დონეზე დადგეს. ცირკულიარს თან დართული აქვს 11 კითხვა, რომლებზე პასუხიც ამოწურავს ყველა იმ პრაქტიკულ ნაბიჯებს, რაც საჭირო იქნება სწავლა-განათლების საქმის გამოჯანსაღებლათ.

გარდა ამისა ტეხნიკუმების მასწავლებლებს წინადადება ეძლევათ თუ შესაძლებლათ და სასურველათ ჩასთვლიან, იკისრონ ისეთი სახელმძღვანელოს შედგენა, რომელშიაც სკოლებს დიდი მოთხოვნილება აქვთ.

სასწავლებელთა პედაგოგიურ საბჭოებს წინადადება ეძლევათ აგრეთვე წარმოადგინონ საკუთარი აზრი აღნიშნული ზომების გატარების გარშემო.

— **გლეხთა** ახალგაზრდობის სკოლების შესანახათ განათლების კომისარიატმა გადასდო 2.128 მანეთი.

— **განათლების** კომისარიატმა თავის ქვემდებარე დაწესებულებებში აკრძალა ზედმეტი სამუშაოების წარმოება.

— **არა** ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამების შესადგენათ ყველა საფეხურის სკოლებისათვის, განათლების კომისარიატმა გამოყო ცალკე კომისია.

# უიმედობა.

## სკშინსკის სიტყვა პოლონეთის სეიმში.

სეიმის სხდომაზე ახალ პრემიერმა წარმოსთქვა სეფე სიტყვა, რომელშიაც ამბობდა რომ მთავრობა შეებრძოლება ეკონომიურ კრიზისს და ეცდება კარგ დამოკიდებულებაში იქნეს იმ პარტიებთან, რომლებიც შედიან კოალიციაში.

# აჭარისტანში.

## აგრონომიულ წერტების გამოკვლევა.

აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაასრულა აჭარისტანის აგრონომიული წერტების გამოკვლევა.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ წერტებზე მუშაობა დამაკმაყოფილებლად სწარმოებდა.

## გლეხთა თვითდახმარება.

უკანასკნელ დროს ხულოს მაზრის გლეხობამ შეიძინა 20 სეპარატორი და 2 ზეთის მხდელი საერთო სარგებლობისთვის

# დაიცავი სამხედრო დისციპლინა

## დისციპლინა მტერზე გამარჯვების თავდებია.

დისციპლინარულ წესდებაში ნათქვამია: „სამხედრო დისციპლინა მოითხოვს სამხედრო მსახურისაგან შეგნებულად შეითვისოს და როგორც წესი მოითხოვს, აასრულოს წესდება, იყოს გამგონე და მორჩილი უფროსის, უსიტყვოდ აასრულოს მისი ბრძანებები და შეინახოს სამხედრო საიდუმლოება“.

შეიძლება მეომარმა იკითხოს, რა საჭიროა წესდების შეგნებულად და სრულად შესწავლა და ასრულება? შეიძლება დავკმაყოფილდეთ წესდების ზეზეური გაცნობით და ავასრულოთ წესდების მოთხოვნილებანი ისე, როგორც ეს ჩვენ გვსურს? ამაზე უნდა უპასუხოდ, რომ სამხედრო პირთათვის წესდება არის კანონი, ხოლო კანონი ყოველთვის უნდა სრულდებოდეს სრულად და შეგნებულად.

საჭიროა წესდების ყოველი მუხლი გაიზეპირო, ჩაუფიქრდე მის მოთხოვნილებებს და მიიღო ის როგორც კანონიერი რამ, რომელიც არ ითმენს რაიმე გადახვევასა და მოითხოვს გონივრად ასრულებას.

ეხლა ვიკითხოთ—რა საჭიროა უფროსის დაჯერება და მუდმივი მორჩილება? შეიძლება ეს მორჩილება საჭირო იყოს მხოლოდ საბრძოლო გარემოებაში ან მეცადინეობის დროს? ასე საკითხის დაყენება შემცდარია. არ შეიძლება ამა თუ იმ ორგანიზაციას ჰქონდეს მუშაობის უნარი, რომ მას ვინმე არ ხელმძღვანელობდეს. ასე რომ არ იყოს, ადგილი ექნება არევდარევას და თვითეული მოინდომებს იმის გაკეთებას, რაც მას მოეწონება. ამიტომ სათანადო წესრიგის დასაცავად ამა თუ იმ ორგანიზაციაში ინიშნება პასუხისმგებელი ამხანაგი. სამხედრო სამსახურში ასეთ ამხანაგს ეწოდება უფროსი. ის წარმოადგენს აღმზრდელ, მასწავლებელს, მამას, ამხანაგსა და უფროსს მეომრისთვის და მისი საქციელისა და მოქმედებისთვის პასუხისმგებელია მთელი სამსახურის ვადის განმავლობაში. ამ მუშაობის ასრულებას—მეომრის აღზრდასა და წარმატებით სწავლებას—მეთაური შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მეომარი უჯერის უფროსს და უსიტყვოდ ასრულებს ყველა მის ბრძანებებს, რომელიც მიმართულია მეომრის აღზრდისა და სწავლების გაძლიერებისაკენ.

და აი, თუ ეს პირობები იქნება შესრულებული და წითელ არმიელსა და მეთაურს შორის ადგილი ექნება შეგნებული ურთიერთ-დამოკიდებულებას, მუშაობა მაშინ მოიტანს ნაყოფს და ნაწილი იქნება ძლიერი, შეკავშირებული და ბრძოლის უნარიანი.

ი. ბარ.


რა ღირს „წითელ არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის.


# ახალწვეულო, გულმოდგინეთ შეუდექი სამხედრო საქმის შესწავლას.

## რა არის საგარნიზონო სამსახური.

ყველასათვის ცხადია, რომ მშვიდობიან დროს ჯარები ემზადებიან ომისთვის. ცხადია აგრეთვე ისიც, თუ რატომ სწარმოებს იარაღის ხმარების, სროლის შესწავლა და მინდვრად ვარჯიში. მაგრამ რა საჭიროა საგარნიზონო სამსახურის შესწავლა? თანახმად საგარნიზონო სამსახურის წესდებისა ჩვენ ვიცით, რომ სახაზინო (სახალხო) ქონებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად შემოღებულია საყარაულო სამსახური.

საჭიროა თუ არა ჩვენი რესპუბლიკისთვის სახალხო ქონების დაცვა? რასაკვირველია, საჭიროა, მით უფრო დღეს, როცა მთელ ჩვენ ღონისძიებას მივმართავთ იქით, რათა დავაგროვოდ ჩვენი სიმდიდრის რაც შეიძლება მეტი მარაგი და გავაიაფოთ ყოველგვარი საქონელი და ნაწარმოები. ამ მარაგებისა და იაფი ფასებისაგან დამოკიდებულია ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შემდეგი ზრდა და წარმატება.

ეხლა საინტერესოა გავარჩიოთ შემდეგი საკითხები: საჭიროა თუ არა დავიცვათ პატიმრები? რასაკვირველია, საჭიროა. იმიტომ, რომ საპატიმროებში იმყოფებიან ისეთი პირები, რომლებიც თავიანთ მოქმედებითა და საქციელით ზიანს აყენებენ ჩვენს სახელმწიფოს. ამ ბოროტმოქმედ პირებს ეკუთვნიან სხვათა შორის წვრილფეხა და მსხვილი ქურდები, რომლებსაც მუშურ-გლეხური ხელისუფლება მკაცრად ექცევა. იმათ რომ თავისუფლება მიანიჭო, არ მოიშლიან თავიანთ მოქმედებას და ზიანს მიაყენებენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეს.

საჭიროა თუ არა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა? რასაკვირველია საჭიროა, ვინაიდან უწესრიგობა ყველგან და ყოველთვის ხელსაყრელია მხოლოდ ჩვენი მტრებისთვის (მდიდრების, მეშჩანების და მდიდრების სხვა მოსამსახურეებისათვის). ყოველგვარი უწესრიგობა არღვევს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მუშაობას, შეაქვს არევ-დარევა ჩვენს საბჭოთა აღმშენებლობაში.

ამის შემდეგ აშკარა ხდება, თუ რისთვისაა შემოღებული საგარნიზონო სამსახური და აგრეთვე გასაგებია ისიც, რომ ეს სამსახური დიდია და მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ სამსახურის მცირეოდნავ დარღვევა, ან მსუბუქად მოპყრობა მისდამი მყისვე ღალატდება საბჭოთა სახელმწიფოს და მოუტანს მას გამოუსწორებელ ზიანს.

თვითეულ სამხედრო მსახურს ნიადაგ უნდა ახსოვდეს, რომ სამსახურის კარგად შესრულებაზე დამოკიდებულია მუშურ-გლეხური სახელმწიფოს კეთილდღეობა. და, პირიქით, დაუდევრობა, უყურადღებობა და გაუფრთხილებლობა სამსახურში ბოროტმოქმედებაა ჩვენი სახელმწიფოს მიმართ.

ხოლო რომ არ გახდე ჩვენი მტრების თანამოზიარე, არ მიაყენო ზარალი ჩვენს სახელმწიფოს და არ გახდე ბოროტმოქმედი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, შეგნებულად და ერთგულად უნდა შეისწავლო და აასრულო საგარნიზონო სამსახური, რომელიც იგივე მშვიდობიან დროის საბრძოლო სამსახურია.

ი. ბარ.

# წითელი ყაზარმა შეუდგა გაცხოველებულ მუშაობას.

## ბიბლიოთეკაც ამუშავდა.

1-ლი ცალკემესანგრეთა ასეული.

ჩვენი ნაწილის ახალ ბინაზე გადასვლამ საერთოდ შეაფერხა ნაწილში წარმოებული მუშაობა. მაგრამ მცირე ხანს. რამოდენიმე დღის შემდეგ ისევ მოვეწყვეთ და გავაჩაღეთ ჩვეულებრივი მუშაობა. ასევე დაემართა ნაწილის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. რამოდენიმე დღის შემდეგ მან მოაწესრიგა თავისი საქმეები და ამჟამად სავსებით აკმაყოფილებს ნაწილის არმიელების მოთხოვნილებას. საკმაოდ მდიდარია სხვა და სხვა ხასიათის ლიტერატურით. ამჟამად ის და ლენინის კუთხე ნაწილის ახალწვეულების საერთო ყურადღებას იქცევს. ბიბგამგე ენერგიულად ასრულებს თავის მოვალეობას. ოქტომბრის დღესასწაულისათვის ლენინის კუთხე და ბიბლიოთეკა ლამაზად იქნა მოწყობილი ლოზუნგებით და პლაკატებით. ამავე დღისთვის ასეულში გამოშვებული იქნა კედლის გაზეთის საგანგებო ნომერი.

სწარმოებს ახალწვეულების ჩაბმა ბიბლიოთეკაში და ლენინის კუთხის მუშაობაში.

სამხედრო ლეო.

## უკვე დაიწყეს მუშაობა.

ცხენ. ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის 1-ლ ესკადრონში უკვე ჩაღდება სისტემატიური მუშაობა. წითელ არმიელები გადაჯგუფებული არიან ცოდნის მიხედვით სხვა და სხვა ჯგუფებში.

ჯგუფებს ყავს დანიშნული მასწავლებლები, დამზადებულია მაგიდები, სკამები, რუქები, წიგნები, საწერ ქაღალდები, ფანქრები და სხვა, რაც ესაჭიროება წითელ არმიელების მეცადინეობას.

ესკადრონის თავი დიდი ყურადღებით ეპყრობა ამ საქმის მოგვარებას და გაუმჯობესებას.

წითელი არმიელები განცვიფრებაში არიან ამხანაგის ასეთი საქციელით. ზოგიერთი ამხ. მესმის; „წითელი ყაზარმა მართლაც სკოლაა, აქ ჩვენ, როგორც ვხედავთ გვასწავლიან როგორც“ სამხედრო, ისე პოლიტ-საგანმანათლებლო საქმესო“.

ნაკლი ესკადრონში ეხლა არ არის, მუშაობა მიდის წინ. ჩაღდება ყოველგვარი კულტურული მუშაობა.

უკანასკნელად დაარსდა აგრეთვე აგრო-წრე, მხოლოდ მეცადინეობა არ დაწყებულა. ხელმძღვანელო! მიაქციე ყურადღება საქმის მალე მოგვარებას და შეუდექით მეცადინეობას.

სამხედრო პ. ნადარეიშვილი.

## საღამოს მეცადინეობა.

მეთაურთა სკოლა.

უკვე საღამოს 19 საათია. წრეების ხელმძღვანელები მეთაურთა სკოლის დიდ დერეფანში ეძებენ თავიანთ წევრებს. როგორ შეიძლება 15—15 წუთი მაინც არ დაიგვიანონ. ყველანი კი გაიძახიან, რომ ცოტა დრო გვაქვს და მეტი მომჭირნეობა და სიმკაცრე (?) საჭიროო. ლაბორატორიები უკვე დაა. კურსანტები შეუდგენ მეცადინეობას.

— სოსო, წავიდეთ წრეში, მეცადინეობა უკვე დაიწყო; ეუბნება კურსანტი ამხანაგს.

— რა ვიცი, მე ამ წრეების მეცადინეობისა ვერაფერი გავიგე: ხან 17 საათზე იწყება, ხან 19-ზე და ხან კიდევ 20 საათზე. თვეში ოთხჯერ არის და ოთხჯერვე სხვა და სხვა დროს. ამბობს უკმაყოფილო ამხანაგი და მირბის წრეში სამეცადინოთ.

წრეებში გაჩაღებულია მეცადინეობა. ერთ წრეში კი ამხანაგები ელოდებიან რამოდენიმე ამხანაგს, რომელთა დასწრებაც აუცილებელია და დაიგვიანეს.

— ნუღა დაუცდით, დავიწყოთ ამბობს ხელმძღვანელი და ეს წრეც ებმება საერთო ფერხულში.

ლიტერატურული წრის წევრები უპატრონოთ დადიან დერეფანში, ხელმძღვანელს ეძებენ.

ზოგიერთი ცუღლუტი ამხანაგი ლაბორატორიაში მეცადინეობით გატაცებულ კურსანტებს ხელს უშლის თავისი ოხუნჯობით.

ერთ ლაბორატორიაში კურსანტების დაფხვნილ ცარცს ერთი მეორეს სახეზე უსვამენ! ესენი „ცუღლუტთა კატეგორიას“ ეკუთვნიან...

— ამხანაგებო, არ შეიძლება უნდა იმეცადინოთ აქ, ან წრეში... არ დაგავიწყდეთ „ჩისტკა“ კიდევ იქნება... უფრთხილდით!

ეუბნება მათ მორიგე.

დერეფანში სიჩუმე ჩამოვარდა... ეს დილის მეცადინეობაზე ჩვეულებრივი მოვლენაა, მხოლოდ საღამოს მეცადინეობაზე იშვიათია.

— ბიჭებო, ასეულის კომისარი. გაისმა ხმა და „ცუღლუტებმაც“ საქმეს მიჰყვეს ხელი.

კარგია მორიდება, მაგრამ შეგნებაც აუცილებელია—რომ უკომისროდაც შეგვეძლოს მეცადინეობა.

ოცდა მეერთე საათმაც ჩამოჰკრა. წრეებმა გაათავეს მეცადინეობა და ხელმძღვანელები ითვლიან არ გამოცხადებულ კურსანტთა რიცხვს...

— მერე უფრო დააფასებენ წრეებს, როდესაც საკლუბო მუშაობის შეფასების დრო დადგება. ამბობს ერთი ხელმძღვანელი და ინიშნავს, რომ მეცადინეობას დააკლდა ცხრა კურსანტი...

სამხედრო ჩვენი.

## მეთაურთა სკოლის კლუბის მუშაობა.

მეთაურთა სკოლაში საკლუბო მუშაობა მოისუსტებს, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში თანდათან იკრებს ძალებს. სექტემბერში სავსებით შეწყვეტილი იყო მუშაობა, არაფერი გაკეთებულა.

მხოლოდ ოქტომბერში მოეწყო ლენ-კუთხეები, წრეები და გაიმართა ორი საღამო-წარმოდგენა:

ნოემბერში—წრეებისა და ლენ-კუთხეების მუშაობა შედარებით უფრო გაძლიერდა და კლუბმაც შედარებით უფრო ცხატვრული და შინაარსიანი სამი საღამო-წარმოდგენაც მოაწყო:

პირველი—სკოლაში, 7 ნოემბერს. დაიდგა: 1) რემედასის რეპერტუარიდან (მასალებიდან) მასიური ინსცენიროვკა „შვიდი ათასი“ ახალი დადგმით; და 2) სვერდისწერო ლანდი („კომინტერნის აჩრდილი“).

მეორე—სოფ. წყნეთში—8 ნოემბერს, დაიდგა: „ოქტომბრის მოგონება“ (ინსცენ.) და „შეშინებული ანთიმოზი“. და მესამეც—20 ნოემბერს გაიმართა სკოლის კომ-კავშირელთა ორგანიზაციის და მბეჭდავთა უჯრედის გაერთიანებული სხდომა-საღამო, რომელზედაც დაიდგა „წითელი მეზღვაური“ (პიესა სამოქალაქო ომის ცხოვრებიდან).

ეს უკანასკნელი პიესაც ახალი დადგმითა და მისთვის სპეციალურად დახატულ დეკორაციით ჩატარდა.

კლუბში სცენა უკვე მოწყობილია, დეკორაციები შეკეთებული და განახლებულია და თვით დარბაზის შეკეთება ამ დღეებში დაიწყება.

ყველა ზემო აღნიშნულის გარდა კლუბი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, კედლისა და შუქის გაზეთების გამოცემას და ახალ-წვეულ წითელ არმიელთა წინასწარ მომზადებას ხელმძღვანელობს და ესეც ჯერ-ჯერობით ჩინებულად მიმდინარეობს.

სოსო ვანანი.

## მეთაურები გვეხმარებიან.

2-რე დივ. ცალკე ცხენ. ესკადრონი.

ჩვენი ნაწილი დიდი ხანი არ არის რაც შესდგა. იმთავითვე საჭირო შეიქნა ყველაფრის მოწყობა ყაზარმებში, რაც დიდ მუშაობას მოითხოვდა. ნაწილის მეთაურებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს ამ საქმეში. მათი უშუალო მონაწილეობით მოვაწყვეთ ნაწილში ლენინის კუთხე და დავაარსეთ სხვა წრეები. ამ ჟამადაც ყოველგვარ მუშაობას სათავეში უდგია ეს ამხანაგები და ხელს უწყობენ ესკადრონის შესაფერ დონეზე დაყენების საქმეს.

ზოგიერთი მათგანი მოთავსებული იქნენ წითელ დაფაზე ასეთი ენერგიულობისათვის. იმედია მომავალშიც ასე განაგრძობენ მუშაობას ისინი და შეაძლებინებენ ჩვენი ნაწილიც გაუთანასწორდეს სხვა ნაწილებს თავისი კულტურულ-პოლიტიკურ და სამხედრო მომზადებით.

ჩვენი დიდი მადლობა მათ.

სამხედრო.

## ჩვენი საქმიანობა.

მე 6 ლეგ. მე-3 ათასეული.

17 ნოემბერს შესდგა ჩვენი ათასეულის ახკომკავშირელთა გაერთიანებული ღია კრება. კრებას ათასეულის მეთაურთა და უპარტიო არმიელთა მასაც დაესწრო.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ჩიკვაიძე, რომელიც შეეხო საქართ. ახკომკავშირის 8 წლის თავს. ამხ. მოიგონა კავშირის არალეგალური მუშაობა, შემდეგ მისი თანდათანობითი განმტკიცება და გაძლიერება.

ვრცლად აღნიშნა კავშირის როლი და მოღვაწეობა საბჭოთა ხელისუფლების დროს, როგორც არის კულტურული აღზრდა და ხელისუფლების ყოველ ახალ წამოწყებებში მხურვალე და პრაქტიკული მონაწილეობის მიღება.

შემდეგ კრებამ განიხილა ამხ. დავითიანის განცხადება ახკომკავშირში მიღების შესახებ, რომელიც დაკმაყოფილებული იქნა.

მიმდინარე საკითხებში წამოყენებული იქნა პროპ. კოლექტივში ჩვენი წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ, ამ მიზნით არჩეული იქნა ამხ. ფანცხავა.

შემდეგ დადგენილი იქნა ჩატარებული იქნეს საზეიმო სხდომა სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად, რომელიც უკვე მოხდა 20 ნოემბერს.

სამხედრო ვ. ვარდოსანიძე.

## ახალწვეულები ჩვენ მუშაობაში.

მე-5-თე ტერლეგიონი.

7 ნოემბერს მოვიდნენ ჩვენ ლეგიონში ახალწვეულები და კვლავ ახმაურდა ჩვენი წითელი ყაზარმები. პირველ ორ-სამ დღეში ახალწვეულები უხერხულად გრძნობდენ თავს როგორც გაუცნობელი ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრებას. ბევრ მათგანს შეიძლება ქონდა გაგონილი ნიკოლოზის დროის ჯარი კაცის აუტანელი მდგომარეობა, უდგებოდა თვალ წინ და ეს ანაღვლებდა და აშინებდა მათ რომ აქაც წითელ ჯარში უფროსები მკაცრად და ლანძღვა გინებით მოეკიდებოდენ მას და სხვა. გავიდა დღეები და ახალწვეულები თანდათანობით გაეცვნენ ჩვენ ყაზარმებს, წითელი ჯარის ცხოვრებას და სხვა. დარჩენილი ძველი წითელ არმიელები უხსნიდნენ მათ ყოველ გაუგებარ კითხვებს: მაგალითად დისციპლინის შესახებ, თუ როგორი დისციპლინა არსებობს ჩვენ წითელ ჯარში, რომ უდისციპლინო ჯარი არაფრად ვარგა და ბრძოლაშიაც ადვილად დამარცხდება. უხსნიდენ რომ ეს დისციპლინა დამყარებულია შეგნებაზე და არა მუშტებზე და როზგებზე, როგორც იყო ეს მეფის ჯარში და სხ. ესაუბრებოდნენ ბევრ სხვა და სხვა საკითხებზე როგორც არის მაგალითად; სწავლა განათლება წითელ ჯარში, თუ რა დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სწავლა განათლებას და თვითეულ წითელ არმიელის აღზრდას, სადაც წითელი არმიელი სამხედრო ცოდნასთან ერთად იძენს პოლიტიკურ და კულტურულ ცოდნასაც და სხ.

ამ რიგად ახალწვეულები დარწმუნდენ მასში, რომ ჩვენი წითელი ყაზარმა ყოფილა სკოლა, სადაც ბევრი ცოდნის მიღება შეიძლება როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ და კულტურულ დარგში. კარგად მომზადება დამოკიდებულია თვითეულ წითელ არმიელის მონდომებაზე და ენერგიულ მეცადინეობაზე. ახალწვეულები დარწმუნდნენ რა ყოველივე ამაში დაიწყეს გულმოდგინეთ სწავლა და ყველანი გამხიარულდნენ; ამ ს დამამტკიცებელია მათი მხიარული ყიჟინა, ცეკვა-თამაში, სიმღერები და სხვა.

გაუმარჯოს 1903 წ. დაბადებულ ახალგაზრდობას, რომელნიც ენერგიულად მოკიდებენ ხელს თავიანთი მოვალეობის შესრულებას, კარგათ შეისწავლიან სამხედრო და პოლიტიკურ საქმეს და მით გაამართლებენ იმ დიდ იმედებს, რა იმედებსაც ამყარებს მათზე მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

სამხედრო ოგანოვი.

# პარტიული ცხოვრება

მეექვსე ლეგიონის მესამე ათასეული.

დღიდან ბანაკიდან დაბრუნებისა ვიდრე დღემდე ჩვენი ათასეულის კომუჯრედის მუშაობა უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. მთელი ჩვენი მუშაობა დღემდე გამოიხატებოდა შემდეგში: კომუჯრედის კრებები იმართებოდა სისტემატიურად, თვეში სამჯერ, სადაც ირჩეოდა სხვა და სხვა დამაინტერესებელი საკითხები. უჯრედის მიერ ამხანაგებში გამოყოფილი იყო და ეხლაც არის ახკომკავშირის ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელსაც მუშაობისათვის სათანადო მასალებს აწვდიდა კომუჯრედი. კვირაში ერთხელ ყოველთვის ხდებოდა პოლიტ-თათბირი, სადაც მუშავდებოდა მუშაობის გეგმა პოლიტ-მეცადინეობის დარგისათვის, იწვევდა კომუჯრედის, კომკავშირის ჯგუფისა და საერთო კრებებისათვის.

გარდა ამისა კ მუჯრედის ხელმძღვანელობით იწვეოდა ცვალებადელთა კონფერენციები, უშვებდა სისტემატიურად ორკვირეულ კედლის გაზეთებს, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ათასეულის მთელი შემადგენლობა და სხ.

ამ ხნის განმავლობაში ცოცხალი კავშირი გვქონდა დაჰერილი სამოქალაქო პარტ-ორგანიზაციებთან, რომელიც გამოიხატებოდა ურთიერთ წარმომადგენლობის გაგზავნაში და სხვა.

უკანასკნელად კომუჯრედის კრება შესდგა 20 ნოემბერს, რომლის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი კითხვები: 1. საბჭოთა მეურნეობის აღორძინება 8 წლის განმავლობაში, 2. „წერკუმსის“ უჯრედის დაარსება. უკანასკნელ საკითხზე მოხსენება გააკეთა ადგ. სამაზრო პოლიტ-განათლების განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. ჯიჯიშვილმა, რომელმაც გააცნო კრებას, თუ როგორი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ, რომ მოსპობილ იქნას ჩვენში წერა-კითხვის უცოდინარობა. მომხსენებელმა წაიკითხა სტატისტიკური ცნობები წერა-კითხვის უცოდინარობისა და მასთან ბრძოლის შესახებ.

მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია ამხ. დოლიძე, რომელსაც დაავალა ამ დარგში მუშაობა სამაზრო პოლიტ განათლების განყოფილებასთან მტკიცე კავშირში.

დ. ჭ ნკოტაძე.

თუ გაინტერესებთ არმიის ყოფა-ცხოვრება, სამხედრო ტეხნიკის განვითარება და რა ხდება უცხოეთის არმიებში

გამოიწერეთ „წითელი არმიელი“

# გადავაგდოთ ძველი ჩვეულება.

6—ხე ტერლეგიონი.

პარტიული მუშაობა ჩვენთან დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რამაც შესაფერი გამოხმაურება ჰპოვა ლეგიონის უპარტიოთა ფართო მასაში და ბევრი ამხანაგები მოდიან განცხადებებით პარტიის რიგებში მიღების შესახებ. ბევრი ამხანაგების თხოვნა სრულდება და შემოდიან ჩვენს რიგებში საუშაოთ და პირნათლად ასრულებენ ყველა დავალებებს, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთს კიდევ ვერ მოუშლია ძველი ჩვეულება. მაგალითად, ამას წინად პარტიის კანდიდატათ დამტკიცებული იქნა ამხ. ბ. ცხვედიანი, რომელიც ყოველფეხის გადადგმაზე უფროსებს სულ „ბატონოთი“ მიმართავს, რაც ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს წითელ არმიელებზე.

ამხანაგი წითელ არმიელების მასწავლებელია და უნდა იცოდეს, რომ მისი ასეთი საქციელი გავლენას ახდენს ახლად მოსულ წითელ არმიელებზე, რომლებსაც ვესაუბრებით და ვარწმუნებთ ასეთი ჩვეულებების უვარგისობაში და მოუწოდებთ მათი გადაჩვევისაკენ.

საჭიროა თავი მიანებოს ამხანაგმა ასეთ ჩვეულებას და ისე მოიქცეს, როგორც სხვა პარტიული ამხანაგები.

პარტკორი სიმართლე.

---

## ს ა მ ხ კ ო რ ო!

გაავრცელე გაზ. „წითელ არმიელი“. მოუწოდე ყველას გამოიწერონ ის, ეს შენი ვალია!

---

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

## მოგვეცით საათი.

2-რე არტლეგიონი

მეორე არტლეგიონის საგაუბიცო დივიზიონის საყარაულოში არა გვაქვს საათი. განწესებაში გასვლის დროს ჩვენს მეთაურებს ყოველთვის სხვაგან უხდებათ სირბილი დროს გასაგებათ. საათის შესახებ არა ერთხელ იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთში, მაგრამ ყურადღებას მაინც არ გვაქცევენ. სანამდე უნდა ვიქნეთ ასეთ მდგომარეობაში. მოგვაქციეთ ყურადღება. მოგვეცით ერთი საათი.

სამხკორი ს. დურუჯისპირელი.

## მიიღეთ ზომები.

1-ლი ლეგიონი.

ხშირად ელსმენზე უძახიან ლეგიონის არმიელებს სხვადა სხვა ნაწილებიდან საჭირო საქმეების შესახებ, მაგრამ მორიგე არმიელები ამ ამხანაგებს არ ატყობინებენ. ასეთი შემთხვევები ძლიერ ხშირია. არ ვიცი რად არ აქცევენ ამხ. მორიგეები ამას ყურადღებას და არ ასრულებენ საჭირო დავალებებს.

სამხკორიი ვ. ბარელაძე.

## გამოასწორეთ ეს ნაკლიც.

1-ლი საკავშირო ასეული.

უკანასკნელ ხანებში ასეულში ყველაფერს ყურადღება ექცევა, მაგრამ ერთი გარემოება მაინც მოითხოვს გამოსწორებას.

არა გვყავს პარიკმახერი და მეჩექმე, რომლებიც დიდ აუცილებლობას წარმოადგენენ ასეულში.

მიიღეთ ზომები, მოგვეცით პარიკმახერი და მეჩექმე.

სამხკორი ვ—ნო.

## გაგვიკეთეთ პირსაბანი.

1-ლი ლეგ. 5-ე ასეული.

რამდენი ხანია, რაც ასეულში გაფუჭებულია პირსაბანი და ყურადღებას არავინ აქცევს. ამ სიცივეებში გარედ, წყალსადენის მილთან გვიხდება პირისბანა, რის გამო ხშირად ცივდებიან ამხანაგები.

დროა მიიღონ ზომები და შეგვიკეთონ პირსაბანი, სანამ ცუდ შედეგების წინაშე დავდგებოდეთ.

წ. არმ. ვ. ჩარჩიშვილი.

## დაიხსენით სიცივისაგან.

1-ლი ლეგ. ცხენ. მზვ. მწყობრი.

აღნიშნული ნაწილის საჯინიბოს არა აქვს კარები და ყველა ფანჯრებში ჩალეწილია მინები. იმის გარდა, რომ ღამის მორიგეები ცივდებიან საჯინიბოში, არც ცხენებს ადგიათ კარგი დღე, ქარს აუარება მტვერი შეაქვს საჯინიბოში და აჭუჭყიანებს ცხენებს.

სიცივეები თანდათან მატულობს, საჯინიბოს ასეთ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია.

დროა იზრუნონ მის შესაკეთებლად.

წ. არმიელი ლ. —ძე.

# ახალი ამბები.

— წვევამდელების მიმაგრება წერა-კითხვის უცოდინარ. სალიკვიდაციო სკოლებზე უკვე ჩატარდა მთელი რესპუბლიკის ფარგლებში.

— მოძრავი სახელოსნოები. ტფილისის აღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს მაზრის გლეხობისათვის სას.-სამ. იარაღების შესაკეთებელი მოძრავი სახელოსნოები.

— ტრაქტორების შესასწავლ კურსებზე ტფილისის აღმასკომი თავის ხარჯით აგზავნის რამოდენიმე გლეხს.

— ტფილისის აღმასკომმა დაადგინა აგრო-დახმარების პუნქტებთან მოაწყოს ბეღლები და ფარდულები, რისთვისაც გადასდო 1250 მანეთი.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის საჭიროებისათვის განათლების კომისარიატმა გადასდო 46.315 მანეთი.

— რეზინის ტრესტმა მიიღო ამიერ-კავკასიისათვის 200 ათასი რწყვილი კალოში.

— ელექტროფიკაციისათვის. ამიერ-კავკასიის სახელმ. ვაჭრობის სამმართველომ დაუკვეთა ელექტრო ტრესტს 60.000 მ. ელექტრო მოწყობილობა.

— საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საქ. სახკომსაბჭოს მისცეს მეცხვარეთა ამხანაგობა „თერგისხევს“ გრძელვადიანი სესხი 55.000 მანეთის რაოდენობით, ცხვრის ფარებისათვის საკეების შესაძენათ.

— ტფილისში იტალიიდან ჩამოვიდა ცნობილი მომღერალი ელ. ინაშვილი, რომელიც იმღერებს საოპერო თეატრში.

---

# უცხოეთის არმიებში

**ოფიცერთა სასწავლებლების კრიზისი.**

რუმინეთის სხვა და სხვა სამხედრო სასწავლებლების გამოცხადებულ კონკურსზე, რომლებსაც საერთოდ ჰქონდათ 1.299 თავისუფალი ადგილი, გამოცდებზე გამოცხადდენ მხოლოდ 750 კანდიდატი, რომელთაგან წარმატებით ჩააბარეს გამოცდა 421-მა. ე. ი. გამოცხადებულ კონკურსის ასეთმა შედეგებმა ძლიერ შეაფიქრიანა რუმინეთის სამხედრო წრეები. გაზეთები იმით ხსნიან ამ გარემოებას, რომ ერთის მხრივ არმიის ხელმძღვანელთა პოსტები დაკავებული აქვთ პოლიტიკანებს, რომლებსაც დემორალიზაცია შეაქვთ ოფიცრებში, ხოლო მეორე მხრივ დამნაშავე ოფიცერთა კორპუსის ცუდი მატერიალური მდგომარეობა.

განზრახულია ენერგიული ზომები მიიღონ ახალგაზრდობის მისაზიდავად არმიაში. სხვათა შორის უფროს გენერალურ შტაბის უფროსის თანაშემწეს განზრახული აქვს აღადგინოს სამხედრო სკოლებში ისეთი წესები, რომლებიც იყვენ 30 წლის უკან შემოღებული, როდესაც სამხედრო სასწავლებელ დამთავრებული პირები მხოლოდ სამხედრო სამსახურში იყვენ გამოსადეგი.

აღნიშნული გენერლის სიტყვებით ეს მით უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ სამხედრო ლიცეიებს—სკოლებს მრავალი ახალგაზრდობა ეტანება.

**შეღავათები სამხედრო გადასახლებულებისთვის.**

რუმინეთის გზათა სამინისტრომ მიიღო დადგენილება, რომლის ძალით ყველა სამხედრო გადასახლებულებს—სამხედრო მოახალშენეებს უფლება ეძლევათ რკინის გზების უფასოდ სარგებლობის, თუ კი ისინი მოისურვებენ ახალ ახალშენებში გადასახლებას. შეღავათები ვრცელდება ასეთი პირების ინვენტარის გადატანაზედაც რკინის გზით.

---

## პასუხი შეკითხვებზე.

**ვ. ჩხიკვიშვილს.** ერთი წლის სამსახურის შემდეგ ვრცელდება 25 პროც. მომატება უმცროს მეთაურებზე.

**გოგოშვილს.** შარვალი უნდა მოგეცეთ.

**ა. ი.—ჯ.** ნაწილიდან ნაწილში გადასვლა აკრძალულია.

**ზემდეგს.** ერთი წლის სამსახურის შემდეგ ვრცელდება 25 პროც. მომატება ზედმეტ მსახურ ზემდეგზე.

**გოგიენს.** თუ ზედმეტ მსახურ მეთაურად ითვლებით, მაშინ გერგებათ საოჯახო ულუფა.

**ბრეგაძეს.** უნივერსიტეტში სიარული შეგიძლიათ თქვენი უფროსის ნებართვით.

**ნ. თომაშვილს.** დახმარებისთვის მიმართედ სოც.-უზრუნველყოფის კომისარიატს.

**ვ. ჯ. წ. ა.** შეუძლია თვეში უფასოდ გააგზავნოს სამი უბრალო დახურული ან ღია წერილი წონით 20 გრამამდე. (საკავშირო ცაკის დადგენილება 29 ოქტ. 1924 წ.)

**ლისაშვილს.** თავის დროზე უნდა წარგედგინათ საბუთები შეღავათების შესახებ, ეხლა დაგვიანებულია.

**მონიავას.** ერთი წლის სამსახურის შემდეგ საპატიო ოჯახური მიზეზების გამო ეკუთვნის წ. ა. მოკლე ვადიანი შვებულება.

**ვ. ურთმელაძეს.** ხანძარი ჰქვია ტყეში გაჩენილ ცეცხლს.

**ბოჭორიშვილს.** ოჯახური მდგომარეობა თქვენ არ განთავისუფლებთ, რადგან ძმები გყოლიათ, არც ტერ ნაწილში შეგიძლიათ გადასვლა, რადგან დაგვიანებულია. თავის დროზე უნდა წარგედგინათ საბუთები, თუ გქონდათ.

**რეხვიაშვილს.** მეზობლებთა შორის მიწის გადაცვლა ეს თქვენი შინაური საქმეა. მიმართედ ადგილობრივ ხელისუფლებას.

**ლ. აბუთიძეს.** საშუალო სასწავლებელ დამთავრებულთ შეუძლიათ ერთი წლის სამსახურის გათავების შემდეგ ჩააბარონ გამოცდები საშუალო მეთაურზე და წავიდენ უვადო შვებულებაში.

**მეთ ურს.** დაზე და ძმაზე საოჯახო ულუფა არ იძლევა.

---

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ელდვას.** (მე-3 ლეგ.). თქვენი კორესპონდენცია „მეფურნეც ასეთი უნდა“, გაუშვით ადგ. კედლის გაზეთში.

**ამხ. ა. იმერლიშვილს.** (მე-4 ლეგ. მე-9 ასეული). კორესპონდენტი ვალდებულია სწეროს თავისი ნაწილის შესახებ, როგორც ნაკლულევანებებზე, ისე მის წარმატებებზე. სამხკორი ნაწილის თვალი და ყური უნდა იყოს და ყოველთვის სწეროს თუ კი ამის მასალა ექნება.

**ამხ. კოჯრის პირელს.** თქვენი წერილი სოფ. ვაშლოვანის შესახებ გადაეცა გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქციას.

**ამხ. ჩ—ელის.** (მე-2 საკავშირო). თქვენი კორესპონდენცია „უმცროსი მეთაურია თუ პოლიციელი“ გადაეცა მე-2 დივ. პოლიტ-განყოფილებას.

**ამხ. გაგუას.** (მეთაურთა სკოლა). კორესპონდენცია „ასეთებს ბოლო უნდა მოეღოს“ გადაეცა გაზ. „კომუნისტის“ რედაქციას.

**ამხ. ესმაშვილს.** თქვენი ლექსი გადაეცით კედლის გაზეთის რედკოლეგიას.

**ამხ. რევიშვილს.** ლექსი: „შვებულის სიმღერა“ არ გამოდგა.

**ამხ. დ. ჭ.** ახალწვეულებზე თქვენი წერილი დაგვიანებულია.

---

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართულ მსრ. დივიზიის შტაბისა და პოლიტგანის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ ამავე დივიზიის წ. არმიელ ამხანაგებს: შალვა ალექსანდრეს ძე დადუნდარიძეს (ქუთაისის მაზრის სოფ. გურნის თემის მცხ.) და იასონ ალექსანდრეს ძე რაზმაძეს (ქალ. თბილისის მცხ.).

1-ლ ქართულ მსრ. დივიზიის შტაბის და პოლიტგანის კომუჯრედი გთხოვთ თუ ვინმეს საწინააღმდეგო გაქვთ ხსენებული ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ ცნობები გადმოგზავნოთ ხსენებულ კომუჯრედში შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი 1-ლ ქართ. მსრ. დივიზიის შტაბის და პოლიტგანის კომუჯრედის მდივანს.

---

მე-3-მე ქართულ მსრ. ლეგიონის ბიურო კოლექტივში შემოტანილია განცხადებები კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგების: 1) კობერიძე გერასიმე ივანესძე (სიღნაღის მაზრა გიორგეთის თემის მცხოვრები), 2) კოკილაშვილი თედო ზარიასძეს (სიღნაღის მაზრა სოფ. ბოდბისხევის მცხოვრები). 3) ალადაშვილი მოსე ივანესძე (სიღნაღის მაზრა სოფ. არბოშიკის მცხოვრები) 4) ჩიხრაძეს მალაქია ანტონისძე (რაჭის მაზრა სოფ. გომის მცხოვრები). 5) მეზრიშვილი ილია თომასძეს (სიღნაღის მაზრა სოფ ოზანის მცხოვრები). 6) დაბუაძე ლუკიან იონასძეს. (სენაკის მაზრა გურძემის თემის მცხოვრები), 7) ქანთარია ივანე გიორგისძეს (ქუთაისის მაზრა სამტრედიის რაიონიდან) 8) კისიევი ვასილი გაბოსძეს (ცხინვალის მაზრა. სოფ. ხელჩოს მცხოვრები) 9) ირემაშვილი ალექსი სტეფანესძეს (გორის მაზრის სოფ. კავთისხევის მცხოვრები).

ლეგიონის ბიურო-კოლექტივი სთხოვს ყველას გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში თუ რაიმე უარყოფითი იცით ამ ამხანაგების შესახებ.

ბ. კ. მდივანი ი. ბაღათურია

---

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

1-ლ ქართ. მსრ. დივიზიის პარტ-კომისია გთხოვთ გვაცნობოთ ამხ. ზახარი ივანეს ძე ზუბიევის სამსახურის ადგილი. მისამართი: ქ. თბილისი. 1-ლ ქარ. მსრ. დივ. პარტკომისია.

---

**დავკარგე** პირადობის მოწმობა № 269/4 წითელ არმიის და ფლოტის სახლიდან გაცემული დავით ივანეს ძე ჭანტურიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.